

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ აცხადებს სტაჟიორების მიღებას სხვადასხვა გადაცემებზე:

გადაცემა „შაბათს საღამოს ლიზასთან“

გადაცემაში სტაჟიორების პერიოდში:

- სტაჟიორი გაეცნობა ტელევიზიაში მუშაობის სპეციფიკას;
- შეასრულებს სხვადასხვა ტიპისა და სირთულის დავალებებს.
- დაეუფლება პროდიუსერისთვის საჭირო საბაზისო უნარ-ჩვევებს.
- მიიღებს მონაწილეობას გადაცემის დაგეგმვაში, საეთერო ბადის შედგენაში, საეთერო ტექსტების მომზადებაში.
- დაესწრება მონტაჟსა და ჩანერას.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

- სასურველია უმაღლესი განათლება ან დამამთავრებელი კურსის სტუდენტი სოციალური და პოლიტიკური მეცნიერების განხრით;
- სასურველია ჟურნალისტიკის საფუძვლების ცოდნა;
- კომპიუტერული საოფისე პროგრამებში მუშაობის ცოდნა, ინტერნეტისა და ელექტრონული ფოსტის გამოყენების ცოდნა;

ზოგადი უნარ-ჩვევები:

- აზროვნების სისხარტე
- კრიტიკული მოსაზრების მოსმენა-გაზიარების უნარი
- ყურადღება დეტალების მიმართ
- შემოქმედებითი აზროვნება
- ეფექტური კომუნიკაციის უნარი
- იმპროვიზაციის უნარი
- სამუშაოს დაგეგმვის და ორგანიზების უნარი;

გადაცემა „კაცების დრო“

გადაცემაში სტაჟირების პერიოდში:

- სტაჟიორი გაეცნობა ტელევიზიაში მუშაობის სპეციფიკას;
- შეასრულებს სხვადასხვა ტიპისა და სირთულის დავალებებს;
- დაეუფლება პროდიუსერისთვის საჭირო უნარ-ჩვევებს;
- ისწავლის გადაცემის დაგეგმვას, მის რეალიზებაში მოყვანას და უკვე რეალიზებული პროდუქტის ფრომოუშენს;
- მიიღებს მონაწილეობას გადაცემის დაგეგმვაში, საეთერო ბადის შედგენაში, საეთერო ტექსტების მომზადებაში.
- ისწავლის სიუჟეტების მომზადებასა და მონტაჟს.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

- სასურველია უმაღლესი განათლება ან დამამთავრებელი კურსის სტუდენტი სოციალური და პოლიტიკური მეცნიერების განხრით ან სარეჟისოროს განხრით;
- სასურველია ჟურნალისტიკის საფუძვლების ცოდნა;
- საბაზისო კომპიუტერული პროგრამების ცოდნა;
- ქართული ენის სრულყოფილად ცოდნა;

ზოგადი უნარ-ჩვევები:

- აზროვნების სისხარტე
- კრიტიკული მოსაზრების მოსმენა-გაზიარების უნარი
- ყურადღება დეტალების მიმართ
- შემოქმედებითი აზროვნება
- ეფექტური კომუნიკაციის უნარი
- იმპროვიზაციის უნარი
- სამუშაოს დაგეგმვის და ორგანიზების უნარი;

შერჩევის ეტაპები:

- 1) რეზიუმეების გადარჩევა;
- 2) გასაუბრება.

ვაკანსიით დაინტერესების შემთხვევაში გთხოვთ, გამოაგზავნოთ რეზიუმე (CV) შემდეგ მისამართზე: internship@gpb.ge არაუგვიანეს 2016 წლის 15 დეკემბრისა. “subject”-ში აუცილებლად მიუთითეთ გადაცემის დასახელება